რა შეუძლია ახალ მოთამაშეს!

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 17 აგვისტო.

“ნეფთჩი”: შეხოვი, ლიოგკი, ბრუხტი, სემიგლაზოვი, სიომინი, აბასოვი, ტუაევი, მოსკალენკო (ალი-ზადე), ბანიშევსკი, გაჯიევი, აბდულაევი.

“დინამო”: სტეფანია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ებრალიძე (კუტივაძე), პეტრიაშვილი, გავაშელი, მაჩაიძე, ყიფიანი (მეტრეველი), გ. ნოდია, რეხვიაშვილი.

მსაჯი: ნ. კირსანოვი (კიევი).

დუბლიორები - 1:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

მიმდინარე ჩემპიონატის XIII ტურამდე ბაქოელ ფეხბურთელთა საქმეები საუკეთესოდ მიდოდა: 16 ქულით 24 შესაძლებლიდან ისინი მტკიცედ იდგნენ III ადგილზე.

XIII ტურში ბაქოელები თბილისში შეხვდნენ “დინამოს” და წააგეს მატჩი ანგარიშით 0:1. მას შემდეგ “ნეფთჩი” მარცხს მარცხზე განიცდიდა და ექვს მატჩში ზედიზედ 9 ქულა დაკარგა, რა თქმა უნდა, ამის შემდეგ გუნდის სატურნირო მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა და მისი გამოსწორებისთვის ბაქოელებს, უპირველეს ყოვლისა, სწორედ განვლილ ტურში, 17 აგვისტოს, თბილისის “დინამოსთან” მატჩში უნდა ეზრუნათ.

ბაქოელებმა ასეც დაიწყეს თამაში - ხშირი, სწრაფი იერიშით, ნახევარმცველთა აქტიური მოქმედებით მეტოქის ნახევარზე. მათ უკვე მე-5 წუთზე შეექმნათ გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა: ტუაევმა ძლიერად დაარტყა კარში, ბურთი მოხვდა ძელს და დინამოელები გადაურჩნენ აშკარა ხიფათს. კრიტიკული მომენტები იქმნებოდა შემდეგაც და მეკარე სტეფანია ხშირად ერთვოდა თამაშში.

დაახლოებით შუა ტაიმში მდგომარეობა გამოსწორდა, შემდეგ კი თამაშმა “ნეფთჩის” მხარეს გადაინაცვლა. თბილისელებმა რამდენიმე სახიფათო მდგომარეობა შექმნეს, რომელთაგან ერთ-ერთი 32-ე წუთზე კარში თავური დარტყმით დაამთავრა რეხვიაშვილმა - 1:0.

ტაიმის ბოლომდე დინამოელები მაღალ ტემპში უტევდნენ მასპინძლებს.

თბილისელებმა ასევე დაიწყეს მეორე ტაიმიც. რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს კუტივაძემ, ყიფიანმა, “ნეფთჩი” ძლივს იგერიებდა ამ იერიშებს და მხოლოდ ეპიზოდური საპასუხო გარღვევებით კმაყოფილდებოდა.

მაგრამ უკვე მაშინ, როცა მატჩი დასასრულს მიუახლოვდა და საჭირო იყო ამ ინიციატივის შენარჩუნება, თბილისელებმა რატომღაც მკვეთრად უკლეს ტემპს, დაამუხრუჭეს თამაში და შეუდგნენ ბურთის ნელ, მრავალსვლიან გათამაშებას მინდვრის შუაგულში. ეს იყო სწორედ ის, რაც მასპინძლებს სჭირდებოდათ: მათ უმალვე იგდეს ხელთ თამაშის სადავეები, მთელი ძალები გადაისროლეს წინ და დაიწყეს ხანგრძლივი, ძლიერი შტურმი. განსაკუთრებით სახიფათო იყო მარცხენა ფლანგზე ალი-ზადე. ამ მხრიდან დინამოელებს ბევრი უსიამოვნება დაატყდათ თავს, სტეფნია გამუდმებით იგერიებდა ბურთებს, რამდენიმე საუკეთესო შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული “ნეფთჩის” თავდამსხმელთა მიერ.

ამ მძიმე სიტუაციაში ხსნა მოვიდა იმავე რეხვიაშვილის სახით. მან მიიღო შორეული გადაცემა ძოძუაშვილისგან, ისარგებლა იმით, რომ ბაქოელი ფეხბურთელები ერთიანად წინ იყვნენ წასული, გაექცა სიომინს და ზუსტად, უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი მიზანში - 2:0.

საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვათ ახალგაზრდა ფეხბურთელზე ფ. რეხვიაშვილზე. უწინ იგი საქართველოს პირველობაზე თამაშობდა თელავის "კახეთში", შემდეგ თბილისის "დინამოს" დუბლშემადგენლობაში იყო, ბოლოს კი რუსთავის "მეტალურგში" გამოდიოდა. ფ. რეხვიაშვილი გამოირჩევა დიდი ენერგიით, შეუნელებელი აგრესიით, მუდამ იქ იმყოფება, სადაც გოლის გატანის შესაძლებლობა იქმნება და ამიტომ ძალიან შედეგიანი თავდამსხმელია.

"ლელო", 10 აგვისტო, 1971 წ.